საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ განაცხადების მიღება

დანართი 1

შერჩეულ მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგი და ხელშეწყობა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ განაცხადების მისაღებად:

1. **პროგრამის მოკლე აღწერა**

<u>პროგრამის სახელწოდება:</u> კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში (GGLD).

GGLD ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) მიერ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითრების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით.

<u>პროგრამის მიზანი</u>: საჯარო დაწესებულებები მმართველობის ეროვნულ და ადგილობრვი დონეებზე ახორციელებენ მოქალაქეებზე ორიენტირებულ მომსახურებას.

ძირითადი მოქმედების არეალები:

ა) სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩო-პირობების გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისათვის.

ბ) მთავარი აქტიორების შესაძლებლობების გაძლიერება მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისა და მათი დაფინანსებისათვის.

გ)მექანიზმების გაძლიერება მომსახურებების მიწოდებაში მოქალაქეთა ჩართულობისათვის.

დ) რეგიონული განვითარების მიდგომების, ინსტიტუციებისა და ინსტრუმენტების გაძლიერება.

ე) ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება

<u>პროგრამის ხანგრძლივობა:</u> 01/04/2020 – 31/03/2023

2. **ზოგადი ინფორმაცია**

GIZ-ის პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში“ მიზანია ხელი შეუწყოს საჯარო ინსტიტუციებს მოქალაქეებზე ორიენტირებული და სამართლიანი მომსახურების მიწოდებაში, რაც გააუმჯობესებს ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს. აღნიშნულის მისაღწევად GIZ კონსულტაციებს უწევს შერჩეულ მუნიციპალიტეტებს გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებასა და ადგილებზე გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული პოლიტიკის შექმნაში, რომელშიც გათვალისწინებულია მოსახლეობის

ყველა ჯგუფის - განურჩევლად სქესისა - საჭიროებები და ინტერესები. გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული პოლიტიკა კი თავის მხრივ რესურსების ეფექტიანობასა და მოსახელობისათვუს საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად მრავალი ცვლილება განხორციელდა სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე. ამ მიმართულებით ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე შეიქმნა ინსტიტუციები, რომლებიც მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია გენდერული პოლიტიკის განხორციელებისათვის: 2016 წელს „გენდერული თანასწორობის შესახებ" კანონში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს ადგილებზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა დაევალათ. კანონით განისაზღვრა გენდერზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა და გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნა. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დღევანდელი მონაცემებით, გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმი მოქმედებს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში. თუმცა კი კვლავაც არსებობს მრავალი გამოწვევა ადგილზე, რაც აფერხებს მათ ჯეროვან ფუნქციონირებას და გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაციას.

2018 წლის იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა კონსტიტუციაში შეტანილი ახალი ცვლილებები. ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც გენდერული პოლიტიკის სრულყოფის თვალსაზრისით შევიდა, კონსტიტუციის მე-11 მუხლს ეხებოდა და მისი მიღებით ქვეყანამ არსებითი გენდერული თანასწორობის გარანტიები განამტკიცა.

2021 წელს GGLD-იმ გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიმზების გაძლიერებისა და ადგილებზე გენდერული მეინსტრიმინის უზრუნვლეყოფის მიზნით შერჩეულ მუნიციპლატიტებს (ჩამონათვალი იხ. მე-4 პუნქტში) ხელი შეუწყო გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში (გენდერული თანასწორობის სტრატეგია, გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა), რის საფუძველზეც სამიზნე მუნიციპალიტეტების უმეტესობაში აღნიშნული დოკუმენტები დამტკიცებულია ან/და შემუშავებულია საბოლოო სამუშაო ვერსიები დასამტკიცებლად.

შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტების განხროციელების უზრუნველყოფის მიზნით, 2022 წელს GGLD აგრძელებს კონსულტაციებს შერჩეულ მუნიციპალიტეტებში. შესაბამისად წინამდებარე საკონსულტაციო საქმიანობის ფარგლებში აქცენტი კეთდება მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების კონკრეტული აქტივობების განხორციელებაზე, რაც ადგილებზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარებას შეუწყობს ხელს.

3. _საკონსულტაციო მომსახურების მიზანი

საკონსულტაციო მომსახურების მიზანია შერჩეულ მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება და ადგილობრივ პოლიტიკაში გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობა. აღნიშნული მოიცავს შემდეგ ქვე-მიზნებს:

1. გადაწყვეტილების მიმღები პირების/გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების/გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირების კომპეტენციის ამაღლება
2. ადგილებზე გენდერული თანასწორობის ინსიტიტუციური მექანიზმების გაძლიერება გენდერული თანასწორობის სამოქმედი გეგმების შერჩეული ღონისძიებების განხორციელების გზით

3. სამიზნე მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ხილვადობის გაზრდა/ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული კარგი პრაქტიკებისა და ინიციატივების გაზიარება/პოპულარიზაცია.

4. .სამუშაოს მიმღების შესასრულებელი ამოცანები

საკონსულტაციო საქმიანობა უნდა გაგრძელდეს 2021 წელს შერჩეულ შემდეგ მუნიციპალიტეტებში:

1. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი,
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი,
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი,
4. გურჯაანის მუნიციპალიტეტი,
5. ქედის მუნიციპალიტეტი,
6. ხაშურის მუნიციპალიტეტი,
7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი,
8. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი,
9. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი,
10. ასპინძის მუნიციპალიტეტი

დაკვეთა გულისხმობს შემდეგი კონკრეტული ამოცანების შესრულებას:

1. გადაწყვეტილების მიმღები პირების/გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების/გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირების კომპეტენციის ამაღლებას და მათი შესაძლებლობების გაძლიერებას მათთვის ტრენინგების/სამუშაო შეხვედრების ჩატარებისა და ქოუჩინგის განხორციელების გზით;
2. მუნიციპალური გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შერჩეული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას;
3. გენდერული თანასწორობის შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, რაც, მათ შორის, მოიცავს გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ხილვადობის გაზრდას და ბოლო სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული კარგი პრაქტიკებისა და ინიციატივების გაზიარებას/პოპულარიზაციას (მოსახლეობასა და თავად სამიზნე მუნიციპალიტეტებს შორის)

დაკვეთა მოიცავს, როგორც მუნიციპალიტეტში ვიზიტებს, ასევე ონლაინ შეხვედრებსაც.

5. შუალედური და საბოლოო ანგარიშგება

5.1. საკონსულტაციო მომსახურების მიმღებმა არა უგვიანეს 15.07. 2022-მდე უნდა მოამზადოს **შუალედური ანგარიში,** რომელიც უნდა მოიცავდეს სამუშაო აღწერილობით მე-4 პუნქტის 1 და მე-2 ქვეპუნქტებში გათვალისწინებულ საკითხებს:

- ✓ გადაწყვეტილების მიმღები პირების/გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების/გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირების კომპეტენციის ამაღლებისთვის, ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;
- ✓ ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შერჩეული ღონისძიებების განხორციელების მიზნით შერჩეულ/ჩატარებულ საქმიანობას;

5.2. საკონსულტაციო მომსახურების მიმღებმა არა უგვიანეს 30.10.2022-მდე უნდა მოამზადოს **საბოლოო ანგარიში** , რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულ საკითხებს (იხ. მე-4 პუნქტი)
- განხორციელებული ღონისძიებების საფუძველზე მიღწეულ შედეგებსა და მიგნებებს
- მიღებულ გამოცდილებას,
- ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის/ინსტიტუციური სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს
- ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგის კარგ მაგალითებს
- მიღებული გამოცდილებისა და მისი სხვა მუნიციპალიტეტებსა და დაინტერესებულ მხარეებთან წარმატებით გავრცელების მიზნით რეკომენდაციების მომზადებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება განხორციელების მეთოდები და მიდგომები.

შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე. შეფასების ძირითადი შემაჯამებელი ნაწილის წარმოდგენა უნდა მოხდეს ასევე ინგლისურ ენაზე.

6. სამუშაო შესრულების სავარაუდო პერიოდი და გადახდები:

სამუშაოს დაწყება: 16.05.2022

სამუშაოს დასრულება 31.10. 2022

შუალედური გადახდა სავარაუდოდ 15.07.2022-მდე მოხდება შუალედური ანგარიშის წარმოდგენის საფუძველზე.

საბოლოო გადახდა სავარაუდოდ 31.10.2022-მდე მოხდება საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის საფუძველზე.

7. სხვა საკითხები

- ყველა ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამუშაოს მიმღები რეგულარულად მიაწვდის ინფორმაციას და ყველა ცალკეულ ღონისძიებას შეათანხმებს GIZ-თან.
- სამუშაოს მიმღებმა უნდა უზრუნველყოს მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია დაინტერესებულ მხარეებთან ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, ასევე ყველა სხვა მნიშვნელოვან აქტორთან, რომლებიც მუშაობენ გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის დახვეწისა და გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით.
- სამუშაო მიმღები გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) შეთანხმების საფუძველზე პროექტის განხორციელების დროს მჭიდროდ ითანამშრომლებს და პროექტის მსვლელობის შესახებ რეგულარულ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

8. განაცხადების შერჩევა და მიღება

საკონსულტაციო მომსახურების განსახორციელებლად პარტნიორის შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე.

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ განაცხადების მიღება

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სამეწარმეო (LLC) და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს (NLC, NPO), საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

GIZ იტოვებს უფლებას, შეამოწმოს განაცხადში მოწოდებული ინფორმაცია. არაზუსტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმდება.

განაცხადების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. ორგანიზაციის/მისი გუნდის გამოცდილება: გენდერული თანასწორობის თემაზე, მათ შორის გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვისა და განხორციელების მიმართულებით მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება*(შემოთავაზებით უნდა დასტურდებოდეს ორგანიზაციის/მისი გუნდის გამოცდილება მსგავსი ღონისძიებების განხორციელებისა და დოკუმენტების შემუშავების მიმართულებით);*
2. წარმოდგენილი ექსპერტების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით სამუშაო აღწერილობაში მითითებულ თემებზე *(როგორიცაა, გენდერული თანასწორობის მეინტრიმინგი პოლიტიკასა და ინსტიტუციებში, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების მომზადება /განხორციელება, გენდერული მეინსტიმინგის ინსტრუმენტების შემუშავება/დანერგვა/განხორციელება).* მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით გამოცდილება უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი რეზიუმეებით (CV-ებით);
3. ტექნიკური (შინაარსობრივი) წინადადების ხარისხი და მისი თანხვედრა სამუშაო აღწერილობით გათვალისიწინებულ მიზნებთან *(რაც მოიცავს დაკვეთის აღწერას, კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის გზებს, პროექტის განხორციელების გეგმას, დაკვეთის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებებს და მათი აქტივობების განხორციელების განრიგს)*
4. სამუშაოს განხორციელების გეგმა ამოცანების და აქტივობების მიხედვით გადანაწილებული სამუშაო დღეების რაოდენობების მითითებით;
5. ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა.

შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით უფრო დეტალურად იხ. თანდართული შეფასების სქემა.

პროექტის პერსონალი

პროექტის პერიოდში 2022 წლის 16 მაისიდან 31 ოქტომბრამდე სამუშაო აღწერილობით გათვალსიწინებული მომსახურების განსახორციელებად დაგეგმილია არაუმეტეს 5 ექსპერტის (სულ მაქსიმუმ 132 სამუშაო დღე) მონაწილეობა:

ქვემოთ წარმოდგენილია "სტანდარტული" - ზოგადი მოთხოვნა. პრეტენდენტს სურვილის შემთხვევაში შეუძლია გამოიყენოს ეს „სტანდარტული შაბლონი"; ან დასაბუთებით წარმოადგინოს ალტერნატიული სტრუქტურა.

პერსონალი	**სამუშაო დღეები (მაქს.)**
პროექტის მენეჯერი	30 სამუშაო დღე

გენდერული თანასწორობის საკითხების ექსპერტი	27 სამუშაო დღე
გენდერული სტატისტიკის ექსპერტი	25 სამუშაო დღე
ადგილობრივი თვითმმართველობის ექსპერტი	25 სამუშაო დღე
პროექტის ასისტენტი	25 სამუშაო დღე

განაცხადის წარდგენა

განაცხადის მომზადება უნდა მოხდეს ინგლისურ და ქართულ ენაზე და უნდა მოიცავდეს ორ ნაწილს - შინაარბრივ და ფინანსურ შემოთავაზებებს.

შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:

1. თავფურცელი

ორგანიზაციის დასახელება და რეგისტრაციის ნომერი. იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი.

2. პროექტის აღწერა

2.1 პროექტის დასახელება და დაწყება-დასრულების ვადა (თვე/წელი-თვე/წელი)

2.2. პროექტის მიზანი და ამოცანები

2.3 პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები და შესრულების განრიგი

#	ღონისძიება	აპრილი	მაისი	ივნისი	კომენტარი
1	X				*[მიუთითეთ საჭიროებისამებრ]*
2	Y				
3	Z				
...	…				

2.4 პროექტში ჩართული პირები და მათი ფუნქციები

ჩამოთვალეთ იმ პირების ვინაობა და ფუნქცია ვინც მოიაზრება პროექტის განხორციელებაში და ასახულია შესაბამისად ბიუჯეტში. განაცხადს ასევე თან უნდა ერთვოდეს დასახელებული პირების რეზიუმეები.

2.5. დანართი

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პროექტის განხორციელებაში გათვალისწინებული პირების რეზიუმეები და მომსახურების განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება ორგანიზაციის მიერ.

დანართის სახით ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს რელევანტურად.

ფინანსური შემოთავაზება უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:

საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ განაცხადების მიღება

ბიუჯეტი (ლარში, დღგ-ს გარეშე)

#	კატეგორია	ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ფასი (GEL)	საერთო ღირებულება (GEL)	განმარტება
1	**ექსპერტის ჰონორარი****					
1.1		[კაც-დღე]				
1.2						
1.3						
	...					
	ჯამი					
2	**სხვა ხარჯი (საჭიროებისამებრ)**					
2.1	ტრანსპორტის ხარჯი					
2.2	ღამისთევის ხარჯი					
2.3	სასტუმროს ხარჯი					
2.4						
2.5						
	ჯამი					
	სულ ჯამი					

ბიუჯეტში არ შეიტანოთ ის ხარჯი, რაც არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ასევე, არ ანაზღაურდება ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯები.

ექსპერტის ჰონორარი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის სხვა პერსონალის ხარჯებს, კომუნიკაციის, ანგარიშგების და ასევე ყველა შესაძლო დამატებით ხარჯს, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მოგების, ინტერესებისა და რისკების ფაქტორებთან.

****მითითებული ჰონორარები უნდა მოიცავდეს საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანის ხარჯებს.***